საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

N 10/01/22 - 01

10 იანვარი 2022

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს ,,ვილსონ გარდენ"-ს (ს/კ 400300410) ქ. თბილისში, ნაძალადევის რიონში (ს/კ: 01.12.12.011.001 (8856.00 კვ.მ), ს/კ: 01.12.12.011.116 (70800.00 კვ.მ), ს/კ: 01.12.12.011.120 (39707.00 კვ.მ), ს/კ: 01.12.12.011.128 (59254 კვ.მ), ს/კ: 01.12.12.011.129 (24013 კვ.მ), ს/კ: 01.12.12.011.111 (2079 კვ.მ)) დაგეგმილი აქვს მრავალფუნქციური საცხოვრებელი და საოფისე-კომერციული კომპლექსის მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენდა ,,ვაგონმშენებელი ქარხნის" საწარმოო ზონას, სადაც ხდებოდა სხვადასხვა სახის სატვირთო ვაგონების და კონტეინერმზიდების დამზადება. ასევე, განთავსებული იყო სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები და საწყობები, რომელთა ნაწილი ამჟამად აღარ ფუნქციონირებს, ხოლო ნაწილი ავარიულია და ექვემდებარება დემონტაჟს.

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2 დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში ,,მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი"-ს სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიში;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით;
- დანართი: დენდროლოგიური კვლევის ანგარიში.

პატივისცემით,

შპს „ვილსონ გარდენი" - ს დირექტორი

გიორგი ტაბიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 105
10 01 22
1/2022
+ 02 +